ქ. წალენჯიხა 23 ივნისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი N4

2022 წლის 23 ივნისს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია.
ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია, ირაკლი სალია, ომარ ქარდავა; ასევე ესწრებოდნენ : მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი მერაბ შონია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი"-ს დირექტორი გიორგი ჭანია,მერიის წარმომადგენლები.
დაწყების დრო: 11:30-სთ.
დასრულების დრო: 11:45-სთ

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

პროექტის წარმომდგენი: ბაჩანა ქანთარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

პროექტის წარმომდგენი: თამარ ბელქანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

3.სხვადასხვა

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ.

კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს გააცნო თუ რა ცვლილება შედიოდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღნიშნა, რომ ამ ცვლილებით ბიუჯეტში გაიწერა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული უფასო სასადილოების ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, შეიცვალა ზედა ზღვარი ნაცვლად 100 000 ქულისა, დადგინდა 120 000 ქულა. ასევე განისაზღვრა ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და თანხვედრაში იქნა მოყვანილია „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ კითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, რადგან პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ქულამ 120 000-მდე აიწია, რა ცვლილებებს გამოიწვევდა ეს პროგრამაში, ხომ არ მოხდებოდა ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა? მთავარია, დადგენილი კრიტერიუმებით ბენეფიციართა სიიდან არ ამოვარნენ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები და არ შეიქმნას მათი კვებით უზრუნველყოფის პრობლემა.

ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი“-ს დირექტორმა გიორგი ჭანიამ უპასუხა, რომ დაიწერება ბრძანება და იმის მიხედვით იხელმძღვანელებენ. რასაც კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ როცა არ არის ზედა ზღვარი განსაზღვრული,თუ კრიტერიუმები დააკმაყოფილა, მაგალთად, 400-მა ადამიანმა, რთული იქნება მათი გამიჯვნა და კონკრეტული პირების გამოყოფა. ბაჩანა ქანთარიამ, აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მართებულად მიაჩნია, რომ განისაზღვროს პროგრამით მოსარგებლეთა სარეიტინგო ქულის ზედა ზღვარი.

კომისიის წევრმა გონერ კვარაცხელიამ კითხვით მიმართა ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი“-ს დირექტორს გიორგი ჭანიას თუ რამდენი თანხაა გამოყოფილი ერთ ბენეფიციარზე და საერთოდ რა თანხა გაქვთ კვებისთვის?

ა(ა)იპ წალენჯიხის „სათნოების სახლი“-ს დირექტორმა გიორგი ჭანიამ უპასუხა, რომ რთულ რეჟიმში უწევთ მუშაობა , ბაზარზე თანხების ზრდამ პრობლემები შექმნა პროგრამის განხორციელებაში, შეჩერებული არის მასთან დაკავშირებული 7 ტენდერი. კვებაზე წლის დასაწყისში იყო დღეში 2 ლარი ერთ ბენეფიციარზე, მიმდინარე ეტაპზე ზემოაღნიშნულის გამო, რთულია ზუსტად განისაზღვროს რა თანხა უჯდება მუნიციპალიტეტის ერთი ბენეფიციარის კვება დღიურად. მერიის

სამომავლო პრიორიტეტია მენიუს გაუმჯობესება, მაგრამ არა ბენეფიციართა შემცირების ხარჯზე.
საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელმა მერაბ შონიამ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესაბამისად ცვლილებები შედის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში, დგინდება უფასო სასადილოებით მოსარგებლე პირთა შერჩევის კრიტერიუმები. აღნიშნული, ნაკლებად მოახდეს გავლენას ბენეფიციართა რაოდენობის ზრდაზე. მერაბ შონიამ საუბრისას ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსარგებლეთა ზედა სარეიტინგო ქულის ზღვრის მითითება არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ერთხმად (მომხრე-5) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განუმარტა, რომ იგივე ცვლილება შედიოდა სოციალურად გაცემის წესში რაც ბიუჯეტის ცვლილებაში განვიხილეთ.

საკითხან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები კომისიის წევრებს არ დაუფიქსირებიათ. კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ერთხმად (მომხრე-5) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა ქანთარია/